



სს ჯერარსი
 თბილისი, მუხიანის 2ა
 +995 32 2 11 11 12
 info@jerarsi.ge
 www.jerarsi.ge



სამახსოვრო ფურცელი
 პაციენტების ოჯახის წევრების და ახლობლების

**“ჩვენ ვზრუნავთ უპირველესზე -
 თქვენი საყვარელი ადამიანების ჯანმრთელობაზე”**

მვირფასო ოჯახის წევრებო და ახლობლებო,

მადლობას გიხდით, რომ ჩვენთან ერთად ზრუნავთ თქვენი საყვარელი ადამიანების ჯანმრთელობაზე. ჩვენი კლინიკის გუნდისთვის უმნიშვნელოვანესია პაციენტების ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და კომფორტი. ამ მიზნით გთხოვთ, გაითვალისწინოთ შემდეგი რეკომენდაციები.

ნახვის საათები და შეზღუდვები.

პაციენტთა უსაფრთხოებისა და კომფორტის უზრუნველსაყოფად კლინიკაში ნახვის საათები განისაზღვრება:

- სტაციონარის ყველა განყოფილებაში – ყოველდღე: ⌚ 16:00-17:00
- რენიმაციის განყოფილებაში:
 - ხუთშაბათი: ⌚ 16:00-17:00
 - შაბათი: ⌚ 16:00-17:00
- შეზღუდვები:
 - გთხოვთ, შეზღუდოთ პაციენტთან ხანგრძლივი და ერთდროულად რამდენიმე ადამიანის ვიზიტი, რათა თავიდან ავიცილოთ პაციენტის გადაღლა და ინფიცირების რისკი.
 - ინფექციების პრევენციის მიზნით, გთხოვთ, ნუ შემოიყვანთ ბავშვებს და თავი შეიკავოთ ვიზიტებისგან, თუ გაქვთ ვირუსის ან გაციების სიმპტომები, მაგალითად: სიცხე, ხველა ან სურდო.

- პაციენტის მდგომარეობიდან გამომდინარე, შესაძლოა, პერსონალმა დროებით შეზღუდოს ვიზიტები. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ უსაფრთხოების დაცვა მნიშვნელოვანია მკურნალობის წარმატებისთვის.

კვების რეკომენდაციები:

- კლინიკა უზრუნველყოფს პაციენტებს სპეციალურად მორგებული და მკურნალობის პროცესთან თავსებადი საკვებით, რომელიც შეესაბამება მათი ჯანმრთელობის მდგომარეობას.
- გარე საკვების მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს მკურნალობის პროცესის შეფერხება ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაართულება.
- პაციენტის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გთხოვთ, არ მიაწოდოთ გარედან მოტანილი საკვები, თუ ეს წინასწარ არ არის შეთანხმებული სამედიცინო პერსონალთან.
- კვების მიწოდების შემთხვევაში გთხოვთ დაიცვათ განსაზღვრული დრო: ☎ 09:00 – 10:00 სთ.

გთხოვთ გაითვალისწინოთ:

- ყველა კითხვა ან საკითხი განიხილოთ კლინიკის სამედიცინო პერსონალთან;
- დაიცვათ კლინიკის სამედიცინო პერსონალის მითითებები, რათა პაციენტებმა შეძლონ სწრაფად და უსაფრთხოდ გამოჯანმრთელება.
- ვიზიტებისას გაითვალისწინეთ პაციენტის ფსიქოლოგიური მდგომარეობა და ეცადეთ, შექმნათ მშვიდი და მხარდაჭერით სავსე გარემო.
- კლინიკაში უსაფრთხოების ყველა წესი განკუთვნილია პაციენტებისა და მათი ახლობლების კეთილდღეობისთვის. თითოეული ქმედება, რაც პაციენტის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს, მნიშვნელოვანია მათი მკურნალობის შედეგისთვის.
- გაუგებრობის ან ხარვეზის შემთხვევაში, გთხოვთ, დაუკავშირდეთ კლინიკის ადმინისტრაციას ან მკურნალ ექიმს.

ჩვენ ვიზრუნებთ პაციენტების უსაფრთხოებაზე კლინიკაში ყოფნის პერიოდში!

გთხოვთ, ამ პროცესში იყოთ ჩვენი პარტნიორი და დაგვეხმაროთ პაციენტის საუკეთესო შედეგების მიღწევაში. მადლობას გიხდით თანამშრომლობისთვის!

„პატივისცემით, სს „ჯერარსის“ გუნდი.